88 წელი თქვენთან ერთად!

88 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი.



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაბრატიონი

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №3-4 {7057) 15 თებერვალი 2022 წელი ● Facebook გაზეთი თერჯოლა

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სოციალური პროგრამები

გასულ თვეში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის სოციალური პროგრამები.

ვიდრე აღნიშნულ პროგრამებს ჩვენს გაზეთში გამოსაქვეყნებლად მოვამზადებდით, კიდევ ერთხელ გადავავლეთ თვალი გასულ წელს ანალოგიური პროგრამების შესრულების მდგომარეობას.

უნდა ითქვას, რომ ამ პროგრამების შესრულება გასულ წელს წარმატებით განხორციელდა, რაც სოციალურად შეჭირვებულ ადამიანებზე ზრუნვის გაძლიერების პირდაპირი გამოხატულებაა.

რაც შეეხება 2022 წლის პროგრამებს—ვიდრე მუნიციპალიტეტის საკრებულო დაამტკიცებდა, მათ მოსამზადებლად მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს მუნიციპალიტეტის მერიაში, კერძოდ ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურში. მუნიციპალიტეტის საკრებულოში დასამტკიცებლად წარდგენამდე იგი, საბოლოო შესწორებისა და ჩამოყალიბებისათვის, საგანგებოდ განიხილეს მუნიციპალიტეტის მერის, ლაშა გოგიაშვილის მიერ სპეციალურად მოწვეულ თათბირზე.

ფართო საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის 2022 წლის სოციალურ პროგრამებს გთავაზობთ ჩვენი გაზეთის მე-4, 5, 6, 7, 8, 9 გვერდებზე.

გადასახადების სუბსიდირება სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის...

საქართველოს მთავრობამ, პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, გამოსცა დადგენილება სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ელექტროენერგიისა და წყლის გადასახადის სუბსიდირებისათვის.

დადგენილების საფუძველზე, 70 000 ან ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველ ოჯახებს სახელმწიფო მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს დაუსუბსიდირებს.

☞2

კოვიდპანდემია და ჩვენ...

ავიცრათ ერთმანეთისათვის!

კორონავირუსული პანდემია ჯერჯერობით უკან არ იხევს, პირიქით—ქვეყანაში ყოველდღიური დაინფიცირების შემთხვევები ბევრად უფრო მეტია, ვიდრე გასული წლის პიკურ პერიოდში, მაგრამ იმედი სწორედ ახლა გამოჩნდა—ახალი კორონავირუსული შტამი—„ომიკრონი“, რომელიც ძალზე სწრაფად ვრცელდება ბევრად ნაკლებაგრესიულია, ვიდრე მისი წინამორბედები. თავისი დადებითი შედეგები გამოიღო ვაქცინაციამაც. ახლა მნიშვნელოვნად ნაკლებია კლინიკებში მოხვედრილ ვაქცინირებულთა რაოდენობა, შემცირების ტენდენცია იკვეთება ყოველდღიურად კოვიდით გარდაცვლილთა სტატისტიკაში.

☞9

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

☞2,3



ახალი წელი—გარდამავალი და ახალი ინფრასტრუქტურული პროექტები

თერჯოლის მუნიციპალიტეტმა გასულ წელს წარმატებით გაართვა თავი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას. „თერჯოლას“ მკითხველები ჩვენი საგაზეთო პუბლიკაციებით კარგად იცნობენ ამ პროექტების შესრულების მიმდინარეობის პროცესს მის ყველა ეტაპზე, ამიტომ ამჟამად შესრულებულ სამუშაოებზე მხოლოდ რამდენიმე ჯამურ ციფრს შემოგთავაზებთ. სულ გასულ, 2021 წელს განხორციელდა 100-ზე მეტი სხვადასხვა მოცულობის ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელთაც საერთო საღარჯთაღრიცხვო ღირებულება 50 მლნ. ლარს აჭარბებს.

☞3

მასწავლებელთა პირველი სასკოლო კონფერენცია

☞10

მონატრებული ზამთარი...

☞12

გადასახადების სუბსიდირება სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის...

1☜

საქართველოს მთავრობამ პრემიერ-მინისტრის ინიციატივით გამოსცა დადგენილება სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ელექტროენერგიისა და წყლის გადასახადის სუბსიდირებისათვის.

დადგენილების საფუძველზე, 70 000 ან ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველ ოჯახებს სახელმწიფო მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს დაუსუბსიდირებს. სუბსიდირების თანხა შეადგენს 2020 წლის დეკემბერში შესაბამის საფეხურზე მოქმედ სამომხმარებლო ტარიფსა და 2015 წლის ივლისში მოქმედ სამომხმარებლო ტარიფს შორის სხვაობას და დამატებით 2022 წლის იანვარსა და 2020 წლის დეკემბერში მოქმედ ტარიფებს შორის სხვაობას 1 კვტსთ-ზე 3,5 თეთრის ოდენობით. აღნიშნულ დახმარებას იღებენ თბილისში რეგისტრირებული 70 000 სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახები.

ამასთან, მთავრობა განახორციელებს ყოველთვიურად მოხმარებული არა უმეტეს 200 კვტსთ ელექტროენერგიის საფასურის სუბსიდირებას, 1 კვტსთ-ზე 3,5 თეთრის ოდენობით, 2022 წლის პირველი იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდისათვის რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა 70 000-დან 150 000-მდეა, გარდა თბილისში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახებისა. ასევე სუბსიდირება განხორციელდება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 2022 წლის 1 აპრილიდან 2022 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით რეგისტრირებული ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა 70 000-დან 150 000-მდეა და მონაცემთა ბაზის მიხედვით ცხოვრობენ თბილისში. სუბსიდირება არ ვრცელდება იმ აბონენტებზე, რომლებიც სარგებლობენ „აბონენტების მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის ანაზღაურების შესახებ“ დადგენილებით გათვალისწინებული შეღავათებით.

ამასთან, 2022 წლის იანვრიდან 2022 წლის დეკემბრის ჩათვლით რეგისტრირებული ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა 70 000 ან ნაკლებია და ცხოვრობენ თბილისში, რუსთავში ან მცხეთაში, განხორციელდება სასმელი წყლის საფასურის სუბსიდირება, არა უმეტეს 100 ლარისა.

„აწარმოე საქართველოში“ გთავაზობთ...

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში, იმერეთში სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ კერძო სექტორის განვითარების მიზნით, საგრანტო და კრედიტის სუბსიდირების მიმართულებით 7 000 000-მდე ლარი გამოყო, რაც მეწარმეების თანადაფინანსებისათვის იქნება გამოყენებული.

ამ პროგრამით დაინტერესებულ პირებს აქვთ შესაძლებლობა განავითარონ ტურისტული სერვისები, სოფლის მეურნეობის მეორადი პროდუქტებისა და ტურიზმთან დაკავშირებული წარმოება.

პროგრამის პრიორიტეტებია:

—ახალგაზრდა (29 წლის ასაკის ჩათვლით) მეწარმე სუბიექტის მიერ ბიზნესის დაწყება / გაფართოება;

—განთავსების საშუალებებსა და ტურისტულ სერვისებზე ორიენტირებული პროექტი;

—იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიერ ბიზნესის დაწყება / გაფართოება;

—ახალი ბიზნესის წამოწყება;

—ქალი მეწარმის მიერ ბიზნესის დაწყება / გაფართოება;

—სოფლად / მაღალმთიან დასახლებებში ბიზნესის დაწყება / გაფართოება;

—შშმ პირთა მიერ ბიზნესის დაწყება / გაფართოება;

—ინტელექტუალურ სერვისზე ორიენტირებული პროექტები / მაღალი ინკლუზიურობის მქონე სექტორებზე ორიენტირებული პროექტები.

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“, ტრადიციულად გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

შეხვედრა მოსახლეობასთან...

მოსახლეობასთან თვითმმართველობის ხელმძღვანელის და სხვა წარმომადგენლების შეხვედრები უაღრესად მნიშვნელოვანი საშუალებაა, როგორც მათი საჭიროებების შესასწავლად, ისე თვითმმართველობის მიერ გაწეული საქმიანობის შესაფასებლად.

ასეთი სამუშაო შეხვედრა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა მოადგილეებთან, საკრებულოს თავმჯდომარესთან, გიორგი ბარათაშვილთან და გოგნის, ჩხარის და ძევრის მაჟორიტარ დეპუტატთან, მანუჩარ ფანჩულიძესთან ერთად სოფელ ჩხარის მოსახლეობასთან გამართა.

შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა, მოსახლეობისგან ის პრობლემები მოისმინეს, რაც მათი სოფლისთვისაა პრიორიტეტული. ჩხარის ადმინისტრაციული ერთეულისთვის მთავარ გამოწვევად წყალმომარაგების საკითხი დგას.

„სოფელ ჩხარში არსებული წყლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს სოფლის სასმელი წყლით მომარაგებას, სწორედ ამიტომ აუცილებლობას წარმოადგენს დამატებითი დებეტის მოძიება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ადგილობრივ მოსახლეობასთან შეთანხმებით, დაისახა კონკრეტული სამოქმედო გეგმა და შესაბამისად მოხდება ახალი პროექტის შემუშავება, რათა მივიღოთ ის შედეგი, რომლითაც მოსახლეობა კმაყოფილი იქნება“—განაცხადა, ლაშა გოგიაშვილმა.

მოსახლეობის მხრიდან დასმული ყველა საკითხი, რეაგირებისთვის შესაბამისი სამსახურების მიერ იქნა ჩანიშნული.

შეხვედრას მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი, იურიდიული სამსახურის თანამშრომელი და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მადლობა და წახალისება თავდადებული შრომისათვის

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი მოადგილეებთან, მანუჩარ რობაქიძესთან და მირზა ქოჩიაშვილთან ერთად ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომლებს შეხვდა.

მათ გაწეული ყოველდღიური სამუშაოსთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს გაზრდილ ხელფასებს სხვა მუნიციპალურ ა(ა)იპ-ებთან ერთად, მათი სამსახურის თანამშრომლებიც მიიღებენ.

„ჩემო მეგობრებო, მუნიციპალიტეტისთვის თქვენი საქმიანობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ყოველი დილა სწორედ ქალაქის კეთილმოწყობასა და სისუფთავეზე ზრუნვით იწყება. მინდა თითოეულ თქვენგანს მადლობა გადაგიხადოთ შრომისა და თავდადებისთვის. მზად ვართ, მაქსიმალურად დაგიდგეთ გვერდით და დადებითად გადავწყვიტოთ ყველა ის საკითხი, რაც ჩვენი ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის განვითარებას შეუწყობს ხელს“—განაცხადა ლაშა გოგიაშვილმა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურში სულ 146 პირია დასაქმებული.

2022 შემოქმედებითად აქტიური წელი იქნება

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი მოადგილესთან, მანუჩარ რობაქიძესთან და განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსთან, გურამ თურქაძესთან ერთად, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხელმძღვანელს, სამხატვრო სკოლის დირექტორსა და თერჯოლის კულტურის სახლთან არსებულ ადგილობრივი ანსამბლების წარმომადგენლებს შეხვდა.

სამუშაო შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ მერის რეფერენტი და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები.

ხელმძღვანელმა პირებმა, ქართული ფოლკლორის პოპულარიზაციასა და ხელშეწყობაზე ისაუბრეს, ამ მიზნით ხაზი გაუსვეს შესაბამისი პირობებისა და გარემოს შექმნას. მათ ასევე შემოქმედებითი კოლექტივების მხრიდან სფეროების მიხედვით, დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ მოისმინეს ინფორმაცია და სამომავლოდ მხარდაჭერას დაპირდნენ.

შეხვედრაზე, მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსმა, გურამ თურქაძემ დეტალურად ისაუბრა სამომავლოდ განსახორციელებელ ღონისძიებებზე.

მიმდინარე წელს, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი იწყებს მასშტაბურ პროექტს—ფოლკლორის ეროვნულ ფესტივალს, რომელშიც მონაწილეობას ხალხური სიმღერისა და ცეკვის მუნიციპალური და თვითმოქმედი ანსამბლები, მგალობელთა გუნდები, საოჯახო ანსამბლები, ინდივიდუალური შემსრულებლები, მთქმელები, ავტორ-მთქმელები, ფოლკლორის ნიმუშების შემკრებნი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატები მიიღებენ.

აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებით, შეხვედრაზე განსაკუთრებული ხაზგასმით გამოიკვეთა თერჯოლის მერიის სრული მზაობა და ხელის შეწყობა მუნიციპალიტეტში განსახორციელებელ აქტივობებს.



ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

ახალი წელი—გარდამავალი და ახალი ინფრასტრუქტურული პროექტები

1 ☞

მნიშვნელოვანია, რომ ამ პროექტებიდან გარდამავალია 8—იუსტიციის სახლი, საზანოს საბავშვო ბაღი, რუფოთის წყალი, რუფოთი-კაცხის გზის 17 კმ-იანი მონაკვეთი, თერჯოლა-ტყიბულის გზის 12 კმ-იანი მონაკვეთი, რუფოთის და ქვედა სიმონეთის სკოლების რეაბილიტაცია, ახალთერჯოლის წყალი. ამ გარდამავალ ინფრასტრუქტურულ პროექტებთან ერთად მიმდინარე 2022 წელს სამუშაოები დაიწყება იმ სამ საგზაო პროექტზე, რომლებზედაც ტენდერში გამარჯვებულები უკვე გამოვლინდა. ეს პროექტებია:

—ქალაქ თერჯოლაში, პუშკინის ქუჩის ბეტონის საფარით მოწყობა,

—სოფელ ღვანკითი-ავტობანის დამაკავშირებელი გზის ბეტონის საფარით მოწყობის მეორე ეტაპის სამუშაოები,

—სოფელ თავასა-თუზის დამაკავშირებელი გზის ბეტონის საფარით მოწყობა.

აღნიშნულ პროექტებს უმოკლეს პერიოდში დაემატება „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით გათვალისწინებული და სხვა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომლებიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან და სხვადასხვა რესუბლიკური ფონდებიდან დაფინანსდება.

სასმელი წყალი ახალთერჯოლას...

კარგად გვახსოვს, როცა მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლად ახლად დანიშნულ ლაშა გოგიაშვილს, ახალთერჯოლელთა ერთი ჯგუფი რომ ეწვია და მას სასმელი წყლის პრობლემის გამო საგანგებო ზომების მიღება თხოვეს. მერიის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მაშინდელი დაპირების შესასრულებლად მართლაც ყველაფერი გაკეთდა— შედგა შესაბამისი პროექტი და ხარჯთაღრიცხვა, იქნა მოძიებული თანხები, სამუშაოებზე ტენდერიც გამოცხადდა, გამარჯვებულიც გამოვლინდა, მასთან ხელშეკრულებაც გაფორმდა და ახალი წლის პირველივე თვეში სამუშაოებიც დაიწყო.

ამას წინ, სოფელ ახალთერჯოლის უწყვეტი წყალმომარაგების მიზნით, წყლის მაგისტრალის სამშენებლო სამუშაოები დაიწყო.

მიმდინარე პროცესი მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა, მოადგილესთან, მანუჩარ რობაქიძესთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა.

„ახალთერჯოლის მოსახლეობასთან შეხვედრის დროს, პრიორიტეტად სოფლისთვის სასმელი წყლის მიწოდება დასახელდა. ჩვენ მათ დავპირდით, რომ მაქსიმუმს გავაკეთებდით აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად. სოფელში ადგილობრივები თვითნებურად მოწყობილი ჭებით სარგებლობენ. დღეის მდგომარეობით წყალმომარაგების სისტემის მშენებლობისთვის საჭირო სამუშაოები უკვე დაწყებულია და პროცესი აქტიურად მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში, წყლის ცენტრალური რეზერვუარი, დამცლელი და მიმწოდებელი მაგისტრალები, საქლორატორო, სატუმბი სადგური და ინდივიდუალური მრიცხველები მოეწყობა. პროექტის დასრულების შემდეგ, სასმელი წყლით 630 ოჯახი ისარგებლებს“—განაცხადა, ლაშა გოგიაშვილმა.

სოფელ ახალთერჯოლაში სასმელი წყლის ცენტრალური ქსელის მოწყობის სამუშაოებს რგფ-დან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ჯი-ი-ეს“ ახორციელებს, რომლის ღირებულება 2 138 227 ლარს შეადგენს.

იუსტიციის სახლი

2022 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაფინანსებით, ქალაქ თერჯოლაში იუსტიციის სახლის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს.

იუსტიციის სახლის მშენებლობის დასრულების შემდეგ, მოქალაქეები სახელმწიფო და კერძო სექტორის სერვისებს უფრო კომფორტულ გარემოში მიიღებენ. ადგილზე განთავსდება ქორწინების სახლი, სადაც ნებისმიერ წყვილს საშუალება ექნება ქორწინების რეგისტრაცია საზეიმო ცერემონიალის თანხლებით დაგეგმონ.

თერჯოლაში იუსტიციის სახლის ფილიალის საერთო ფართი 818 კვადრატული მეტრი იქნება, რომელიც ქალაქ თერჯოლაში რუსთაველის ქუჩის №116-ში განთავსდება.

სამშენებლო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია, შპს „სამშენებლო კომპანია №1” ახორციელებს, რომლის ღირებულება 5 195 000 ლარია.

მესამე საბავშვო ბაღის ახალი შენობა...

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში, გრანტის სახით თერჯოლის მუნიციპალიტეტისთის 2 371 704 ლარი გამოიყო.

დაგეგმილია და მიმდინარე წელს განხორციელდება ქალაქ თერჯოლაში მე-3 საბავშვო ბაღის მშენებლობა, რომლის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით მუნიციპალიტეტის მერიამ ტენდერი უკვე გამოაცხადა.

პროექტის ფარგლებში, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი 120 აღსაზრდელზე გათვლილი საბავშვო ბაღი აშენდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლების განმავლობაში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მასშტაბით 5 საბავშვო ბაღი აშენდა, ხოლო ამ ეტაპზე საბავშვო ბაღის მშენებლობა სოფელ ზედა საზანოში მიმდინარეობს.

უფასო აქცია „თვალის კლინიკაში“

ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის და დროული დიაგნოსტიკის მიზნით, ლევან ადეიშვილის სახელობის „თვალის კლინიკაში“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას უფასო ოფთალმოლოგიური კვლევები ჩაუტარდათ.

სამედიცინო აქციის მიმდინარეობას მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი მოადგილესთან, მირზა ქოჩიაშვილთან ერთად ადგილზე გაეცნო და ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადა.

სამედიცინო ცენტრი აღჭურვილია მაღალტექნოლოგიური აპარატურით და გამოირჩევა კვალიფიციური კადრებით, რაც პაციენტებს საშუალებას აძლევს მიიღონ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, მაღალი დონის ოფთალმოლოგიური მომსახურება.

სამედიცინო აქცია კოვიდრეგულაციების სრული დაცვით ჩატარდა.



საკადრო ცვლილებები

ა(ა)იპ თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის სოციალური დაცვის მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალურ ცენტრს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. ნინო ოქრუაძე თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა მოადგილესთან, მირზა ქოჩიაშვილთან ერთად, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის თანამშრომლებს წარუდგინა და მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

ნინო ოქრუაძე თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებას ხელმძღვანელობდა, ასევე აქვს მიღწევები განათლების სხვადასხვა მიმართულებით. არის მაღალი დონის კვალიფიციური კადრი, რომელიც საქმეს ყოველთვის პასუხისმგებლობით ასრულებს.

„მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრს მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია მომავალი თაობის აღზრდა-განვითარების საქმეში. სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულებები განსაკუთრებით უწყობენ ხელს მოზარდი თაობის შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენასა და უნარ-ჩვევების განვითარებას. მჯერა, გუნდური მუშაობითა და ეფექტური კომუნიკაციით ბევრ სასიკეთო საქმეს გავაკეთებთ ჩვენი მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობისთვის“—აღნიშნა ლაშა გოგიაშვილმა.

* * *

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის, ლაშა გოგიაშვილის ბრძანებით მერის რეფერენტად გიორგი რობაქიძე დაინიშნა.

გიორგი რობაქიძე თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სოფელ ახალთერჯოლის ორგზის მაჟორიტარი დეპუტატი გახლდათ. იგი არის მაღალი დონის კვალიფიციური კადრი, რომელიც გამოირჩევა გუნდური მუშაობითა და ეფექტური კომუნიკაციის უნარით და საქმეს ყოველთვის პასუხისმგებლობით ასრულებს.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სოციალური პროგრამები

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის სოციალური დაცვის პროგრამების შესრულების შედეგები

გასულ, 2021 წელს, ისე როგორც მიმდინარე წელს, მუნიციპალიტეტში სულ მოქმედებდა 14 სხვადასხვა სოციალური პროგრამა, თავდაპირველი ბიუჯეტით სულ 980,0 ათასი ლარი.

არსებული რეალური ვითარებიდან გამომდინარე, წლის განმავლობაში, ცალკეული პროგრამების დაფინანსებაში გარკვეული ცვლილებები მოხდა და საერთო ჯამში წლიური დაფინანსება გაიზარდა. შესაბამისად, ამ დაფინანსებით 5026 ბენეფიციარმა ისარგებლა.

მიმდინარე წლის სოციალური პროგრამების ბიუჯეტი 114000 ლარით განისაზღვრა, რაც 160,0 ათასი ლარით მეტია ვიდრე 2021 წელს.

მისასალმებელია, რომ გასულ წელს, უსახლკაროთათვის 5 ინდივიდუალური სახლი აშენდა. მიმდინარე წლის პროგრამაში კი ამ მიზნით 8 ინდივიდუალური სახლის აშენებაა გათვალისწინებული.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მარტოხელა მშობლის სოციალური დახმარების 2022 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29.29220144)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

ა. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სოციალური დახმარების პროგრამა.

ბ. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 01 იანვარი 2022 წელი – 31 დეკემბერი 2022 წელი.

გ. პროგრამის ბიუჯეტი: 16 000 (თექვსმეტი ათასი) ლარი.

დ. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი.

ე. პროგრამის მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა: მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე ბენეფიციარზე 100 (ასი) ლარი ყოველთვიურად.

ვ. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება:

მარტოხელა მშობელი არის მარტოხელა დედის ან მარტოხელა მამის სტატუსის მქონე პირი.

მუხლი 3. პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები:

გაეწიოს და გაუუმჯობესდეს სოციალური მდგომარეობა მარტოხელა დედებს (მამებს).

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირი, რომელსაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილი.

მუხლი 5. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია:

ა. განცხადება მერის სახელზე;
ბ. დახმარების მიმღები პირის პირადობის მოწმობის ასლი;
გ. ბავშვის დაბადების მოწმობა;
დ. მარტოხელა მშობლის დამადასტურებელი დოკუმენტი;
ე. დახმარების მიმღები პირის პირადი ანგარიში.

მუხლი 6. მარტოხელა მშობლის დაფინანსების მიღების წესი:

1. თერჯოლის მუნიციუპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურეობის დაფინანსების 2022 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29.29220145)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურეობის 2022 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 01 იანვარი 2022 წელი – 31 დეკემბერი 2022 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 1000 (ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 3. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები:

პროგრამის სრულყოფილად განხორციელება ხელს შეუწყობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა რეაბილიტაციას.

მუხლი 4. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ოდენობა:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა რეაბილიტაცია დაფინანსდეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან წელიწადში არა უმეტეს 350 (სამასორმოცდაათი) ლარისა.

მუხლი 6. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

1. პროგრამით სარგებლობის უფლება აქვს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირს.

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი დოკუმენტაცია:

შშმ პირის მშობელი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენს განცხადებას, რომელსაც თან უნდა დაერთოს:

ა) მშობლების პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან არასრულწლოვნის რეგისტრაციის ბარათი, ასევე დაბადების მოწმობის ასლი;

ბ) ცნობა, პროგრამით სარგებლობის მსურველი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა N100).

გ) გასაწევი სამედიცინო მომსახურების ხარჯების მოცულობის განმსაზღვრელი დოკუმენტი (ინვოისი, კალკულაცია) შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან.

დ) შეთანხმება სამედიცინო დაწესებულებასა და პაციენტის წარმომადგენელს შორის (დავალიანების არსებობის შემთხვევაში)

ე) შ შ მ პირის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 8. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და ამზადებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტს.

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე, სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებელი თანხის ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით სამედიცინო დაწესებულების შესაბამის ანგარიშზე, რასაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტრის მერიის საფინანსო სამსახური.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულთა ოჯახების ფინანსური დახმარების 2022 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29.29220146)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულთა ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 01 იანვარი 2022 წელი – 31 დეკემბერი 2022 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა: 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულ ბენეფიციარის დახმარება თვეში - 100 (ასი) ლარი, ფენილკეტონურიით დაავადებული ბენეფიციარებისათვის თვეში 300 (სამასი) ლარი.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანს წარმოადგენს დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა გაუთვალისწინებელი სამედიცინო მომსახურეობის ხარჯების უზრუნველყოფა და ფენილკეტონურიით დაავადებულთა საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

მუხლი 3. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები:

პროგრამის განხორციელება დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობიდან გამომდინარე ხელს შეუწყობს ფენილკეტონურიით დაავადებულთა სპეციალური კვების პროდუქტების უზრუნველყოფას და 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაციას.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და 18 წლამდე დიაბეტით დაავადებული ბავშვები.

მუხლი 5. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ:

ა) განცხადება ერთ-ერთი მშობლის სახელზე.

ბ) ცნობა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან ფორმა 100/ა ან ცნობა შ.შ.მ პირთა შესახებ.

გ) განმცხადებლის (მშობლის, მეურვის) საბანკო ანგარიში.

დ) დაბადების მოწმობა, ორივე მშობლის პირადობის მოწმობის ასლი, ან არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი.

ე) სასამართლო გადაწყვეტილება მეურვის არსებობის შემთხვევაში.

ვ) სამკურნალო კვების შემთხვევაში, შესაბამისი დაწესებულებიდან კვების შესახებ ანგარიშ-ფაქტურა.

მუხლი 6. დაფინანსების წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სოციალური პროგრამები

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების 2022 წლის დახმარებისპროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29.29220147)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები.

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე.

3. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი: 390 000 (სამას ოთხმოცდაათი ათასი ლარი) ლარი აქედან:

ა) საცხოვრებელი სახლები, რომლებიც საჭიროებს გადაუდებელ შეკეთებას ხანძრის ან სტიქიის შემთხვევაში ბიუჯეტი განისაზღვროს 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარით.

ბ) მცირეფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობის ან/და შეძენის ბიუჯეტი განისაზღვროს 360 000 (სამასსამოცი ათასი) ლარით.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია დაეხმაროს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მცხოვრებ მოქალაქეებს, რომელთა საცხოვრებელი სახლები დაზიანების მასშტაბის გამო საჭიროებს გადაუდებელ შეკეთებას, ამასთანავე პროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მცირე ფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობას ან/და შეძენას, რომელთა საცხოვრებელი სახლები დაზიანების მასშტაბის გამო ექვემდებარება დემონტაჟს.

მუხლი 3. პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

პროგრამის სრულყოფილად განხორციელება ხელს შეუწყობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სახლდაზიანებული მოქალაქეების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეთა კატეგორია:

1. პროგრამის პირველი მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის სარგებლობის უფლება აქვთ თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ან/და მცხოვრებ ყველაზე მძიმე ეკონომიკურ პირობებში მცხოვრებ სოციალურად გაჭირვებულ მოქალაქეებს, რომელთა საცხოვრებელი სახლი დაზიანებულია და საჭიროებს გადაუდებელ შეკეთებას.

2. პროგრამის პირველი მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის სარგებლობის უფლება აქვთ, ყველაზე მძიმე ეკონომიურ პირობებში თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ან/და მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს, მათი საცხოვრებელი სახლი დაზიანების ხარისხის მიხედვით საცხოვრებლად უვარგისია და ექვემდებარება დემონტაჟს.

3. მოქალაქის ცხოვრების ფაქტი ცნობით უნდა დაადასტუროს მერის წარმომადგენელმა შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში და აღნიშნულ მოქალაქეს არ უნდა გააჩნდეს სხვა საცხოვრებელი სახლი საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით (წარმოადგინოს ცნობა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ).

4. პროგრამით მოსარგებლე მოქალაქე (ოჯახი) პროგრამით განსაზღვრულ დახმარებას მიიღებს ერთჯერადად.

მუხლი 5. პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეებისათვის გასაცემი ფინანსური დახმარების ოდენობა და მისი გაცემის პირობები:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის და საკრებულოს წევრის წერილობითი რეკომენდაცია;

გ) საცხოვრებელი სახლის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მერის წარმომადგენელის მიერ გაცემული ცნობა უძრავი ქონების (დაზიანებული საცხოვრებელი სახლი) ფლობის შესახებ;

დ) საჭიროების შემთხვევაში ანგარიშის ნომერი ბანკიდან.

2. სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მცირე ფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობის ან/და საცხოვრებელი სახლის შეძენის შემთხვევაში განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა საცხოვრებლად უვარგისი სახლის დემონტაჟის შესახებ და სოციალურად დაუცველ მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში მითითებულ განცხადებას შეისწავლის თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი კომისია, რომელიც ამოწმებს მოქალაქის საცხოვრებელი სახლის მდგომარეობას, მოქალაქის ოჯახის სოციალურ პირობებს და ადგენს შესაბამის დასკვნას მოქალაქის განცხადების დაკმაყოფილების (რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს მოქალაქისათვის გასაწევი ფინანსური დახმარების ოდენობა) ან მოქალაქის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

4. კომისიის დასკვნა შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეცემა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურს, რომელიც კომისიის დასკვნის საფუძველზე ამზადებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტს მოქალაქისათვის ფინანსური დახმარების გაცემის შესახებ ან მოქალაქის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

5. სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის საცხოვრებელი სახლის შეძენა ან/და მცირე ფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობა შესაძლებელია მუნიციპალიტეტის მერიამ კანონით დადგენილი წესით განახორციელოს 45 000 ლარის ფარგლებში.

6. ხანძრის ან სხვა სტიქიური მოვლენის შემთხვევაში კომისიის დასკვნის საფუძველზე, რომელიც შეაფასებს სტიქიური მოვლენის შედეგად მიღებულ ზარალს, პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეებს პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია მიეცეს არაუმეტეს 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობის ფინანსური დახმარება.

7. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2022 წლისპროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29.29220148)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2022 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 1 იანვარი **2022 წელი – 31 დეკემბერი 2022 წელი.**

3. პროგრამის ბიუჯეტი: 18 000 (თვრამეტი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა: თვეში – არაუმეტეს 200 (ორასი) ლარი.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი

1. პროგრამის მიზანია უსახლკარო ადამიანების აღრიცხვა და დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

2. იმ ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფა, რომლებმაც გაუთვალისწინებელი გარემოების გამო დაკარგეს საცხოვრებელი და დღემდე იმყოფებიან თავშესაფრის გარეშე.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

ა) თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და ამავე დროს მცხოვრები უსახლკარო ოჯახები, რომლებსაც არ გააჩნიათ სხვა საცხოვრებელი ფართი და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000 -ს.

ბ) ძალადობის მსხვერპლი პირები.

მუხლი 4. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინონ:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) საცხოვრებელი ფართობის არქონის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან); დ) შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის წერილობითი რეკომენდაცია განმცხადებლის საცხოვრებელი ფართის არქონის შესახებ; ე) ქირავნობის ხელშეკრულება 1 წლის ვადით.

ვ) განმცხადებლის საბანკო ანგარიში, გამქირავებლის პირადობის მოწმობის ასლი და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ქონების საკუთრების შესახებ.

ზ) შემაკავებელი ან დამცავი ორდერი ან/და მომხდარი ფაქტის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი (ძალადობის მსხვერპლის შემთხვევაში).

თ) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან (მესამე მუხლის „ა" პუნქტით სარგებლობის შემთხვევაში).

მუხლი 5. დახმარების გაცემის წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის სამუშაო ჯგუფი.

2. სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციაზე, მერის შესაბამისი გადაწყვეტილების შესრულებაზე პასუხისმგებელია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

3. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სოციალური პროგრამები

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური დახმარების 2022 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29.29220149)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო

პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური დახმარების პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 1 იანვარი 2022 წელი – 31 დეკემბერი 2022 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 84 000 (ოთხმოცდაოთხი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა: თვეში 200 ლარი.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები:

დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სამედიცინო დაწესებულებაში გადაადგილების და მედიკამენტებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორიაა თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირები, რომლებიც პროგრამის ამოქმედების დროისათვის რეგისტრირებული არიან თერჯოლის მუნიციპალიტეტში და ამავდროულად სარგებლობენ დიალიზის სახელმწიფო პროგრამით.

მუხლი 4. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ცნობა (ფორმა 100) დიალიზის სახელმწიფო პროგრამით სარგებლობის შესახებ, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან.

გ) განმცხადებლის ანგარიშის ნომერი ბანკიდან.

მუხლი 5. მომსახურების დაფინანსების ოდენობა და დაფინანსების წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერიის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებულ ბენეფიციართა სოციალური დახმარების 2022 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29.292201410)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებულ ბენეფიციართა სოციალური დახმარების პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 1 იანვარი 2022 წელი – 31 დეკემბერი 2022 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა: პარკინსონით ან ეპილეფსიით დაავადებულ ერთ ბენეფიციარზე 150 (ასორმოცდაათი) ლარი, რომელიც გაიცემა ერთჯერადად.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი:

დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობიდან გამომდინარე, პროგრამის მიზანს წარმოადგენს ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებულ ბენეფიციარების ყოველდღიური მოხმარების მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

მუხლი 3. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები:

პროგრამის განხორციელება დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობიდან გამომდინარე ხელს შეუწყობს ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებულ ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაციას.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებული პირები.

მუხლი 5. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი: პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას, განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ცნობა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან ფორმა 100/ა ან ცნობა შ.შ.მ პირთა შესახებ. გ) განმცხადებლის საბანკო ანგარიში ბანკიდან.

დ) არასრულწლოვანის შემთხვევაში: დაბადების მოწმობა, ორივე მშობლის პირადობის მოწმობის ასლი, ან არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი. განცხადება ერთ-ერთი მშობლის სახელზე.

ე) ქმედუუნარო პირის შემთხვევაში: გადაწყვეტილება მეურვის დანიშვნის შესახებ.

მუხლი 6. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ოდენობა და დაფინანსების წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ბენეფიციარების სოციალური დახმარების 2022 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29.292201411)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ბენეფიციარების სოციალური დახმარების პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 1 იანვარი 2022 წელი – 31 დეკემბერი 2022 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 3000 (სამი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა: თვეში – 50 ლარი.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები:

ერთჯერადი კვების ობიექტის ფუნქციონირების შეწყვეტის შედეგად აღრიცხვაზე მყოფი ბენეფიციარებისათვის ფინანსური დახმარება და მათი სოციალური მდგომარეობის შედარებით გაუმჯობესება.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირები, რომლებიც სარგებლობდნენ ერთჯერადი კვების ობიექტით.

მუხლი 4. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

1. ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას, განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) განმცხადებლის ანგარიშის ნომერი ბანკიდან.

მუხლი 5. მომსახურების დაფინანსების ოდენობა და დაფინანსების წესი:

1. მერის შესაბამისი გადაწყვეტილების შესრულებაზე პასუხისმგებელია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სოციალური პროგრამები

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური დახმარების 2022 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29.292201412)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური დახმარების პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 1 იანვარი 2022 წელი – 31 დეკემბერი 2022 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 37 000 (ოცდაჩვიდმეტი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა: თვეში –50 ლარი.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანს წარმოადგენს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთათვის კომუნალური გადასახადების გადახდაში ხელშეწყობა.

მუხლი 3. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები:

პროგრამის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება პირველი ჯგუფის უსინათლოთათვის სოციალური მდგომარეობა.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

1. პროგრამით სარგებლობის უფლება აქვთ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მოქალაქეებს, რომლებიც პროგრამის ამოქმედების დროისათვის რეგისტრირებული არიან თერჯოლის მუნიციპალიტეტში და ამავდროულად არიან პირველი ჯგუფის უსინათლოები.

მუხლი 5. სოციალური დახმარების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და წარდგენის წესი:

1. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ფორმა №IV-50 / 4 (კომისიის დასკვნა) პირველი ჯგუფის უსინათლობის შესახებ, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან.

გ) განმცხადებლის ანგარიშის ნომერი ბანკიდან.

მუხლი 6. დაფინანსების ოდენობა და დაფინანსების წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით დახმარების 2022 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29.292201413)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრიტებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით დახმარების პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 01იანვარი 2022 წელი – 31 დეკემბერი 2022 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახები.

მუხლი 4. საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

1. ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას, განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში გარდაცვალების მოწმობის ასლი.

დ) შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის წერილობითი რეკომენდაცია, რომელიმეს მიერ ამ უფლებამოსილების განუხორციელებლობის შემთხვევაში საკმარისია ერთ-ერთის რეკომენდაცია.

მუხლი 5. საკვები პროდუქტების გაცემის წესი და ოდენობა:

1. ამ პროგრამით განსაზღვრულ ოჯახებს საკვები პროდუქტები მიეცემათ შემდეგი ოდენობით:

ა) უკიდურესად გაჭირვებულ და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფ ოჯახებს არაუმეტეს 150 ლარის ოდენობით ერთჯერადად, სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციის საფუძველზე შესაძლებელია გაიცეს არაუმეტეს ორჯერ.

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

3. გადაწყვეტილების შესრულებაზე პასუხისმგებელია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც გაცემს შესაბამისი ოდენობის ტალონს და ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

4. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მძიმე ჯანმრთელობისა და სოციალურ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეებზე მედიკამენტებით დახმარების 2022 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29.292201414)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მძიმე ჯანმრთელობისა და სოციალურ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეებზე მედიკამენტებით დახმარების პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 01 იანვარი 2022 წელი – 31 დეკემბერი 2022 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 40 000 (ორმოცი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, პროგრამით მოსარგებლე პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

1. ამ პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეები, რომლებიც განცხადების შეტანის დღემდე რეგისტრირებული არიან თერჯოლის მუნიციპალიტეტში.

მუხლი 4. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

1. პროგრამით სარგებლობის მსურველი პირი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენს განცხადებას, რასაც თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ექიმის მიერ გაცემული დანიშნულება პაციენტის სახელის და გვარის მითითებით ასევე ფორმა 100ა.

გ) ამონაწერი აფთიაქიდან შესაბამისი მედიკამენტის ფასის მითითებით.

დ) შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის წერილობითი რეკომენდაცია, რომელიმეს მიერ ამ უფლებამოსილების განუხორციელებლობის შემთხვევაში საკმარისია ერთ-ერთის რეკომენდაცია.

მუხლი 5. მედიკამენტების ტალონის გაცემის წესი და ოდენობა:

1. პროგრამით განსაზღვრულ მოქალაქეებს მიეცემათ მედიკამენტების ტალონი პირადი განცხადების საფუძველზე არაუმეტეს 150 ლარის ოდენობით - ერთჯერადად.

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას ათანხმებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და განმცხადებელს გადასცემს შესაბამისი ოდენობის ტალონს. თვეში ერთჯერ ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

3. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სოციალური პროგრამები

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების ფინანსური დახმარების 2022 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29.292201415)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 1 იანვარი 2022 წელი – 31 დეკემბერი 2022 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 40 000 (ორმოცი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის

მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების მატერიალური დახმარების გაწევა.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორიაა ახალშობილთა ოჯახები (მშობლები), რომლებიც აკმაყოფილებენ ამ მუხლის მოთხოვნებს და განცხადების წარმოდგენის დროისათვის კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულნი არიან თერჯოლის მუნიციპალიტეტში, კერძოდ:

ა) ბავშვის მშობლები, რომლებიც განცხადების დაწერის დროისათვის რეგისტრირებულნი არიან თერჯოლის მუნიციპალიტეტში;

ბ) მარტოხელა მშობელი (დედა ან მამა), რომელიც განცხადების დაწერის დროისათვის რეგისტრირებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტში.

მუხლი 4. მუნიციპალიტეტში წარსადგენი დოკუმენტაცია, დახმარების ოდენობა:

1. ამ პროგრამით განსაზღვრულ ოჯახებს ფინანსური დახმარება მიეცემათ თითოეულ ახალშობილზე ერთჯერადად, შემდეგი ოდენობით:

ა) პირველ და მეორე ახალშობილზე 200 (ორასი) ლარი; ბ) მესამე ახალშობილზე 250 (ორასორმოცდაათი) ლარი;

გ) მეოთხე, მეხუთე და ა.შ. ახალშობილზე 300 (სამასი) ლარი.

დ) ტყუპების შემთხვევაში 600 (ექვსასი).

2. ახალშობილთა ოჯახებზე ფინანსური დახმარება გაიცემა განცხადების საფუძველზე, რომელსაც ერთ–ერთი მშობელი წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერიას ბავშვის დაბადებიდან არაუგვიანეს ერთი წლის ვადაში.

3. განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი (ტყუპების შემთხვევაში – ასლები); ბ) მშობლების პირადობის მოწმობის ასლები;

გ) ამ პროგრამის მე–4 მუხლის პირველ პუნქტის „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დამატებით მრავალშვილიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი (თითოეული ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი).

დ) განმცხადებლის ანგარიშის ნომერი ბანკიდან.

მუხლი 5. ახალშობილთა ოჯახებზე ფინასური დახმარების გაცემის წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერიის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2022 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29.292201416)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 01 იანვარი 2022 წელი – 31 დეკემბერი 2022 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 200 000 (ორასი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია დაეხმაროს და ხელი შეუწყოს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფას.

მუხლი 3. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები:

პროგრამის სრულყოფილად განხორციელება ხელს შეუწყობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მუხლი 4. სამედიცინო მომსახურების დასახელება:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის სამედიცინო მომსახურების საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან შეიძლება დაფინანდეს:

ა) საყოველთაო ჯანდაცვის ან კერძო დაზღვევის ფარგლებში განხორციელებული მომსახურება: ოპერაცია გამოკვლევა.

ბ) საყოველთაო პროგრამით ან კერძო დაზღვევით დაუფინანსებელი ოპერაცია.

გ) ონკოლოგიურ ავადმყოფთა სამედიცინო მომსახურება.

დ) არ დაფინანსდება ესთეტიკური მიზნით ოპერაციები და საკეისრო კვეთა.

მუხლი 5. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ოდენობა:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების მოცულობა განისაზღვრება პაციენტის ასანაზღაურებელი თანხიდან:

ა)1000 ლარამდე თანხის ფარგლებში ასანაზღაურებელი თანხის 50% ით.

ბ)1000 ლარიდან 3000 ლარამდე 500 ლარით.

გ) 3000 ლარიდან 5000 მდე 800 ლარით.

დ) 5000 ლარს ზემოთ 1000 ლარით.

2. მოქალაქეების მეორედ მომართვის შემთხვევაში, რომელთა მატერიალური შემოსავალი ფიქსირდება 10 000 ლარი და მეტი დახმარება არ გაეწევათ.

მუხლი 6. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

1. პროგრამით სარგებლობის უფლება აქვს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირს.

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი დოკუმენტაცია:

1. პროგრამით სარგებლობის მსურველი პირი, ხოლო არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში მისი მშობელი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენს განცხადებას, რომელსაც თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ხოლო არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში ორივე მშობლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან არასრულწლოვნის რეგისტრაციის ბარათი, დაბადების მოწმობის ასლი.

ბ) ცნობა, პროგრამით სარგებლობის მსურველი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა N100).

გ) გასაწევი სამედიცინო მომსახურების ხარჯების მოცულობის განმსაზღვრელი დოკუმენტი (ინვოისი, კალკულაცია,) შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან, დაუფინანსებელი თანხის მოცულობის ჩვენებით.

დ) შეთანხმება სამედიცინო დაწესებულებასა და პაციენტის წარმომადგენელს შორის (დავალიანების არსებობის შემთხვევაში)

ე) შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის წერილობითი რეკომენდაცია, რომელიმეს მიერ ამ უფლებამოსილების განუხორციელებლობის შემთხვევაში საკმარისია ერთ-ერთის რეკომენდაცია.

ვ) კერძო დაზღვევის შემთხვევაში მოქალაქემ წარმოადგინოს ცნობა საყოველთაო დაზღვევიდან თანხმობის ან უარის შესახებ.

ზ) მეორედ მომართვიანობის შემთხვევაში ფიზიკური პირის შემოსავლების შესახებ ცნობა შემოსავლების სამსახურიდან (ბოლო ერთი წლის განმავლობაში) ;

მუხლი 8. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების წესი:

1.თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და ამზადებს თანადაფინანსების შესახებ წერილის პროექტს.

2. სამედიცინო მომსახურეობის ღირებულების თანხიდან დაფინანსებული იქნება თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მას შემდეგ, რაც წარმოდგენილი იქნება შესრულებული სამუშაოს ღირებულების სრული ნუსხა.

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე, სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებელი თანხის ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით სამედიცინო დაწესებულების შესაბამის ანგარიშზე, რასაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტრის მერიის საფინანსო სამსახური.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სოციალური პროგრამები

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარების 2022 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29.292201417)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 01 იანვარი 2022 წელი – 31 დეკემბერი 2022 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 180 000 (ას ოთხმოცი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია დაეხმაროს და ხელი შეუწყოს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მძიმე სოციალურ პირობებში მყოფ ოჯახებს.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახები:

ა) იძულებით გადაადგილებულ მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახები;

ბ) ობოლ ბავშვთა ოჯახები (18 წლამდე);

გ) სამ და მეტ შვილიანი ოჯახები (სოციალურად დაუცველი ოჯახები რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000);

დ) იშვიათი და ონკოლოგიურ დაავადების მქონე პირთა ოჯახები;

ე) გადაადგილება შეზღუდული შშმ პირთა ოჯახები;

ვ) ვეტერანთა ოჯახები;

ზ) მარტოხელა პირები;

თ) მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახები;

ი) ოჯახში ძალოდობის მსხვერპლი;

კ) სოციალურად დაუცველი ოჯახები. (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000)

ლ) ქრონიკულ დაავადებათა მქონე პირები;

მ) დაუნის სინდრომით და აუტიზმით დაავადებული ბენეფიციარები.

მუხლი 4. ერთჯერადი ფინანსური დახმარების ოდენობა:

1) თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების, მარტოხელა პირების, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება 100 ლარის ოდენობით წელიწადში ერთჯერადად.

2) ობოლ ბავშვთა ოჯახების (18 წლამდე), შშმ პირთა ოჯახების, ვეტერანთა ოჯახების დახმარება 150 ლარი ერთჯერადად.

3) ქრონიკულ დაავადებათა მქონე პირები დაავადების სიმძიმის მიხედვით 100/150 ლარი, სამი და მეტ შვილიანი ოჯახები (სოციალურად დაუცველი) და სოციალურად დაუცველი ოჯახები (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000) დახმარება 150 ლარით წელიწადში ერთჯერადად .

4) დაუნი, აუტიზმი, იშვიათი დაავადების მქონე და ონკოლოგიურ ბენეფიციართა ოჯახები 200 ლარით, წელიწადში ერთჯერადად.

5) ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ოჯახები და მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა დახმარება 500 ლარით წელიწადში ერთჯერადად.

მუხლი 5. მუნიციპალიტეტში წარსადგენი დოკუმენტაცია:

პროგრამით სარგებლობის მსურველი პირი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენს განცხადებას, რომელსაც თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი.

ბ) ავადმყოფობის შემთხვევაში ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №100/ა) გაცემული შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან.

გ) შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის წერილობითი რეკომენდაცია, რომელიმეს მიერ ამ უფლებამოსილების განუხორციელებლობის შემთხვევაში საკმარისია ერთ-ერთის რეკომენდაცია.

დ) განმცხადებლის ანგარიშის ნომერი ბანკიდან.

ე) შემაკავებელი ან დამცავი ორდერი ან/და მომხდარი ფაქტის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი (ოჯახში ძალადობის მსხვერპლის შემთხვევაში).

ვ) სოციალურად დაუცველთა შემთხვევაში ამონაწერი სოციალურად დაუცველთა ერთიანი ბაზიდან.

მუხლი 6. ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემის წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის სამუშაო ჯგუფი.

2. სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციაზე, მერის შესაბამისი გადაწყვეტილების შესრულებაზე პასუხისმგებელია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

3. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

1☞ კოვიდპანდემია და ჩვენ...

ვაქცინაცია სოფლებში

თერჯოლის მუნიციპალიტეტში COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესი აქტიურად მიმდინარეობს.

დღეს, ალისუბნის ადმინისტრაციულ ერთეულში მასობრივი იმუნიზაციის პროცესს მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი მოადგილესთან, მანუჩარ რობაქიძესთან და სოფელ ალისუბნის მაჟორიტარ დეპუტატთან, ბადრი ბუცხრიკიძესთან ერთად ადგილზე გაეცნო.

იმუნიზაციის პოპულარიზაციისა და კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინით მოსახლეობის მოცვის გაზრდის მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინიციატივით ქვეყნის ყველა რეგიონის სოფლებში ვაქცინაციის კამპანია დაიწყო, რომელიც სოფლად მცხოვრები 50 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის ადგილზე აცრას გულისხმობს, რაც თავის მხრივ, ავადობის შემცირებასა და შესაძლო გართულებების თავიდან აცილებას განაპირობებს აღნიშნულ ასაკობრივ ჭრილში.

სწორედ ამ ასაკის მოსახლეობისთვის მუშაობს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით მიღებული ფულადი წახალისების პროგრამა, რომელიც პირველ აცრაზე 200 ლარის, ხოლო, დამატებითი, ე.წ. ბუსტერ დოზით აცრის შემთხვევაში 100 ლარის მიღებას გულისხმობს.

ვაქცინაციის მსურველებს აქვთ შესაძლებლობა, ადგილობრივად, სოფლიდან გაუსვლელად, მობილური ამცრელი ბრიგადების საშუალებით ისარგებლონ სოფლის ამბულატორიაში.

იმუნიზაციის პროცესში აქტიურად ჩაერთვნენ ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური ცენტრის თანამშრომლები და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები.

ბუსტერ დოზა...

მათ, ვინც კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა მინიმუმ 3 თვის წინ გაიკეთა, ვირუსის მძიმე გამოვლინებებისგან თავის ასარიდებლად და ჯანმრთელობის მაქსიმალურად დაცვისთვის, ვაქცინის ბუსტერ დოზის გაკეთების რეკომენდაცია ეძლევათ.

ვის შეუძლია ბუსტერ დოზის გაკეთება, როდის და რომელი ვაქცინით?

კოვიდ-19-ის ბუსტერი არის ვაქცინის დამატებითი დოზა. მისი მიზანია, უზრუნველყოს იმუნიტეტის ხანგრძლივად შენარჩუნება, რომელიც ვაქცინის ორი დოზის გაკეთებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ბუნებრივად ქვეითდება;

ბუსტერ დოზის გაკეთება რეკომენდებულია ვაქცინის მეორე დოზის გაკეთებიდან 3 თვის შემდეგ;

ბუსტერ დოზის გაკეთება შეუძლიათ 18 წლის და უფროსი ასაკის პირებს;

ბუსტერ დოზისთვის განკუთვნილი ვაქცინებია: პფაიზერი, სინოფარმი, სინოვაკი;

ბუსტერ დოზით ვაქცინაცია შესაძლებელია სამივე ხელმისაწვდომი ვაქცინით, იმის მიუხედავად, თუ რომელი ვაქცინის კურსია უკვე ჩატარებული.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, 50 წელს გადაცილებული ყველა ის მოქალაქე, რომელიც კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის ორი დოზით არის აცრილი და ბუსტერ დოზით აცრას გაიკეთებს, 100 ლარს მიიღებს.

ავიცრათ ერთმანეთისთვის!

რეგულაციები, რომლებიც უნდა დავიცვათ!

2022 წლის 10 თებერვლის მდგომარეობით

იზოლაციის და კარანტინის ვადები ვაქცინირებული, არავაქცინირებული და კოვიდგადატანილი ადამიანებისთვის, ასიმპტომური და მსუბუქი პაციენტებისთვის:

–კარანტინის ვადა განისაზღვრა 8 დღით;

–სიმპტომების ალაგებიდან გასული უნდა იყოს 24 საათი;

–იზოლაციის დასრულებიდან, მომდევნო 5 დღე მკაცრად არის რეკომენდებული ნიღბის ტარება.

საშუალო და მძიმედ მიმდინარე შემთხვევებისთვის:

–კარანტინის ვადა განისაზღვრა 10 დღით;

–სახეზე უნდა იყოს მკვეთრად გაუმჯობესებული დინამიკა ბოლო 24 საათის განმავლობაში ;

–იზოლაციის დასრულებიდან მომდევნო 5 დღე მკაცრად რეკომენდირებულია ნიღბის ტარება;

–იზოლაციის დასრულების შესახებ გადაწყვეტილებას, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, იღებს მისი ოჯახის ექიმი;

–კარანტინის ვადები მცირდება COVID-19-ით დაავადებულთან კონტაქტირებული პირებისთვისაც.

კარანტინს არ ექვემდებარებიან, თუმცა ეძლევათ ნიღბის მოხმარების მკაცრი რეკომენდაცია კონტაქტის შეწყვეტიდან მომდევნო 10 დღე:

–ბუსტერ დოზით ვაქცინირებული პირები;

–ვაქცინაციის მე-2 დოზის მიღებიდან 14-90 დღის განმავლობაში;

–კოვიდის ინფექციის გადატანიდან 60 დღის განმავლობაში.

მკაცრად, 8 დღე, ექვემდებარებიან კარანტინს და ეძლევათ ნიღბის მოხმარების მკაცრი რეკომენდაცია მომდევნო 9-12 დღის განმავლობაში:

–არავაქცინირებულ და არასრულად ვაქცინირებულ პირებს;

–ვაქცინაციის მე-2 დოზის მიღებიდან 1-14 დღის განმავლობაში;

–ვაქცინის მე-2 დოზის მიღებიდან 90 დღეზე მეტი ხანგრძლივობის და ბუსტერ დოზის არმქონე პირებს;

–პირებს კოვიდის ინფექციის გადატანიდან 60 დღის შემდგომ პერიოდში.

საკარანტინო და საიზოლაციო ვადების ცვლილება ბოლო პერიოდში გახდა შესაძლებელი. აღნიშნულთან დაკავშირებით გამოიცა შესაბამისი საერთაშორისო რეკომენდაციები. საკარანტინო ვადების შემცირება ძირითადად დაკავშირებულია Covid-19-ის ახალი შტამის, „ომიკრონის“ მიმდინარეობის განსხვავებულ ფორმასთან, რადგან ინფიცირების პერიოდი შედარებით ხანმოკლეა, ვიდრე აქამდე არსებული შტამების შემთხვევაში.

მასწავლებელთა პირველი სასკოლო კონფერენცია

მრავალჯერ ჩატარებულა მასწავლებელთა რაიონული კონფერენცია, რომელსაც მაღალი შეფასება მიუღია, როგორც წესი ვლინდებოდა გამარჯვებული თემები, პედაგოგები ჯილდოვდებოდნენ, სპონსორი მომავალშიდაც ფინანსური დახმარების დაპირებას იძლეოდა, თქმულა ისიც, რომ წარმოდგენილი ყველა თემა გამორჩეული იყო, თითოეული გამარჯვებას იმსახურებდა, ისინიც კი, რომლებიც ვერ მოექცნენ ჟიურის ყურადღების ქვეშ...

მასწავლებელთა სასკოლო კონფერენცია კი პირველად ჩატარდა, არა მარტო რაიონის, არამედ შესაძლოა ქვეყნის მასშტაბითაც.

კერძო სკოლა „მზეკაბანში“ სისტემატურად ზრუნავენ პედაგოგთა პროფესიული განვითარებისათვის, ხორციელდება სხვადასხვა აქტივობა, მასწავლებელთა სასკოლო კონფერენცია ერთ-ერთია მრავალ ღონისძიებათა შორის. კონფერენცია 2022 წლის იანვარში ჩატარდა, მასში მზეკაბანის 11 პედაგოგი მონაწილეობდა ხუთი საგნობრივი კათედრიდან. კონფერენციის მიზანი—მასწავლებელთა პროფესიული და პედაგოგიურ-პრაქტიკული კვლევის უნარ-ჩვევების განვითარება, პედაგოგიური გამოცდილების, სწავლა-სწავლების ხარისხის გაზიარება—თავიდანვე განისაზღვრა. ცნობილი გახდა საკონფერენციო თემის გაფორმებისადმი მოთხოვნები, პრიორიტეტული საკითხები—პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება, საკლასო პროექტების ეფექტური გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში, სასკოლო და არასასკოლო აქტივობები და მათი გამოყენება სწავლების პროცესში, სწავლების ინოვაციური მეთოდები, დისტანციური სწავლა-სწავლების პროცესის მართვა და გამოწვევები, მოსწავლეთა ბულინგის დაძლევის გზები და მექანიზმები, ელექტრონული პლატფორმების გამოყენება სასწავლო პროცესში, ინტერაქტიული გაკვეთილის დაგეგმვა, მშობელთა ჩართულობა და მათი როლი სასწავლო პროცესში.

* * *

პედაგოგთა საკონფერენციო ნაშრომები წინასწარ გადაეგზავნა სპეციალურ კომისიას. კომისიის წევრებმა: აზა მემანიშვილმა (კომისიის თავმჯდომარე, მზაკაბანის ხარისხის მენეჯერი), ზურაბ კუტალაძემ (წამყვანი პედაგოგი, ისტორიკოსი), მადონა ჭანტურიძემ (წამყვანი პედაგოგი, მათემატიკოსი), ზურაბ კუპატაძემ (უფროსი მასწავლებელი, მათემატიკოსი) შეაფასეს გამოგზავნილი პრეზენტაციები და დადეს დასკვნა.

პრეზენტატორები და წარმატებული თემები

დარეჯან ჭანტურიძე—„ელექტრონული პლატფორმების გამოყენება სასწავლო პროცესში“ (უცხო ენების კათედრა), ნინო სოფრომაძე —„სივრცული ფიგურები ჩვენს ირგვლივ“ (მათემატიკის კათედრა), ხათუნა კლდიაშვილი—„მათემატიკის სწავლების მეთოდიკა დაწყებით კლასებში“ (მათემატიკის კათედრა), ელენე კუტივაძე—„მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში“ (საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრა), თეა სამხარაძე—„გამარჯობა, მე შენი სხეულის მცველი ვარ“ (საბუნებისმეტყველო მეცნიერების კათედრა), თეა დოლაკიძე—„მოსწავლეებში კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება STEM პროექტის დახმარებით“ (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა), ნინო გვენეტაძე „სიტუაციური ამოცანების გამოყენება ფიზიკის გაკვეთილებზე“ (საბუნებისმეტყველო მეცნიერების კათედრა), ინგა გაბრიჭიძე—„პროექტებით სწავლება მათემატიკაში—პროექტი, დრო და მისი გაზომვა“ (მათემატიკის კათედრა), ქეთევან ზარნაძე —„დოკუმენტური ფილმის როლი სასწავლო პროცესში“ (საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა), ხათუნა დიდიძე—„საკლასო პროექტების ეფექტური გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში“ (საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრა), მაია გოგბერაშვილი—„სააზროვნო ქუდები იგავ-არაკის სწავლებისას“ (ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა).

კონფერენციაზე წარმოდგენილი ყველა თემა იყო საინტერესო, აქტუალური, ეყრდნობოდა პირად გამოცდილებას და პრაქტიკას, გამომსვლელებმა სრულად დაიცვეს კონფერენციის ყველა პრიორიტეტული საკითხი, საკონფერენციო თემის შეფასებისათვის გათვალისწინებული მოთხოვნები. კომისიის წევრები შეფასებისას ყურადღებას აქცევდნენ: როგორ იყენებს პრეზენტატორი სხვადასხვა წყაროებს, დამხმარე მასალას, ლიტერატურას, პირად გამოცდილებას, როგორ საუბრობს, როგორ აყალიბებს აზრს, რამდენად აინტერესებს აუდიტორიას, როგორ იყენებს თვალსაჩინოებას, ტექნიკურ საშუალებებს, რამდენად აქტუალურია თემა და როგორ გამოიყენებენ მას პრაქტიკაში და სხვა.

პრეზენტატორები ღელავდნენ, აღიარეს, რომ ასეთი განცდა რესპუბლიკურ კონფერენციებში მონაწილეობის დროსაც კი არ ჰქონიათ. ეს პასუხისმგებლობის საუკეთესო მაგალითია.

* * *

გაუჭირდათ კომისიის წევრებს გადაწყვეტილების მიღება, ყველა თემა იმსახურებდა საპატიო ადგილს, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება მისაღები იყო და მიიღეს კიდეც.

საბოლოო გადაწყვეტილება

დიპლომები და ფულადი პრემია გადაეცათ: თეა დოლაკიძეს (ფიზიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების წამყვან პედაგოგს), დარეჯან ჭანტურიძეს (რუსული ენის წამყვან პედაგოგს), ხათუნა დიდიძეს (ისტორიისა და სამოქალაქო განათლების უფროს მასწავლებელს), მაია გოგბერაშვილს (ქართული ენისა და ლიტერატურის უფროს მასწავლებელს), ქეთევან ზარნაძეს (ისტორიის უფროს მასწავლებელს).

სიგელებით, სამახსოვრო ფასიანი საჩუქრებით და შედარებით მცირე ფულადი პრემიით დაჯილდოვდნენ: თეა სამხარაძე (ბიოლოგიის უფროსი მასწავლებელი), ნინო სოფრომაძე (მათემატიკის პედაგოგი), ხათუნა კლდიაშვილი (მათემატიკის უფროსი მასწავლებელი), ინგა გაბრიჭიძე (მათემატიკის უფროსი მასწავლებელი), ნინო გვენეტაძე (ფიზიკის წამყვანი პედაგოგი), ელენე კუტივაძე (სამოქალაქო განათლების პედაგოგი, უფროსი მასწავლებელი).

კონფერენციის მიზანი მიღწეულია. სასწავლო წლის ბოლოს მასწავლებელთა სასკოლო კონფერენცია „მზეკაბანში“ ისევ გაიმართება, ისევ გამოიკვეთება პრიორიტეტული საკითხები, ისევ დაისახება მომავლის ამოცანები.

* * *

სკოლის ადმინისტრაცია კმაყოფილია, მზეკაბანის პედაგოგიურ კოლექტივს აქვს მეტის კეთების სურვილი, მოზრდილი თაობის აღზრდის პრობლემების გადაწყვეტაში. მიაჩნიათ, რომ რთულია და შრომატევადი მასწავლებლის მოღვაწეობა, ამიტომ ჯერ ჩვენ უნდა ვიყოთ განათლებულები, მეცნიერების საფუძვლებს ღრმად დაუფლებული, არ უნდა ჩამოვრჩეთ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს-ო—ამბობენ და მიზანსაც აღწევენ.

„მზეკაბანის“ ხარისხის მართვის მენეჯერმა აზა მემანიშვილმა მადლობა გადაუხადა კონფერენციაში მონაწილე თითოეულ პედაგოგს, კომისიის წევრებს, კოლეგებს საჯარო სკოლებიდან, ობიექტურობისა და პროფესიონალიზმისათვის, ძირძველ მზეკაბანელს, სპონსორს და დამფინანსებელს ნინი გვენეტაძეს.

* * *

მზეკაბანის საკონფერენციო დარბაზში ჩატარებული მასწავლებელთა კონფერენცია იყო ღონისძიება, რომელსაც სიტყვებით ვერ გადმოსცემ, ვერც ფოტომასალა შეგიქმნით სრულ წარმოდგენას მის ღირებულებაზე, მნიშვნელობაზე, ხარისხზე, ეს კონფერენცია უნდა ნახო, დაესწრო, მოისმინო და აუცილებლად გამოგყვებათ ფიქრი, რაც დიდხანს გაგყვებათ...

ასეთი კონფერენციები უნდა ჩატარდეს, იგი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პედაგოგთა პროფესიულ ზრდას, სწავლა-სწავლების პროცესის ამაღლებას.

ეს იყო კონფერენცია, აქ იყო თემები და პრეზენტატორები, რომლებიც უნდა განზოგადდეს.

კონფერენცია დამთავრდა, კონფერენციისათვის მზადება დაიწყო.

ჟუჟუნა ცხადაძე

მოთხრობა თოვლზე

ერთიან გავხალისდით ახალ წელს ნანატრმა თოვლმა თეთრ ზეწარში გახვეული დილა რომ გაგვითენა.

წინამდებარე სტრიქონები იმ საოცარი დილის ანარეკლია:

თოვლი იყო „იისფერი“ და დიდებული!

სასწრაფოდ მოვიძიე ხის ნიჩაფი მარნის კუთხეში მიდებული.

ჭიშკრამდე გავითოვლე გზა-გასაკვალავი.

დილა უთენია არ ჩანდა არავინ...

მეზობლებს შევუძახე—ეჰეეეი, გამოდით!

ვეფხვის წლისა და თოვლის მოსვლისა დავლიოთ—არაყი გამოდგით!

არა, არ გეხუმრეთ,

—პატარა შევხურდეთ!

ჭურს კი საღამოს ავხადოთ სარქველი,

აქეთურ-იქითურისა მაშინ ვთქვათ სათქმელი.

სუფრა გავშალოთ საიგავ-არაკო და

ცოტა წავუმღერ-წავულექს-წავულაპარაკოთ...

როცა ფანჯარაში ხვავრიელნად ბარდნის,

როცა დრო შეუმჩნევლად გარბის,

გაშლილ სუფრასთან,

და თბილ ბუხართან

თუ ხართ თან...

და ამბებს ვუყვებით ერთმანეთს სასაცილოს

ვეფხვის და მოყმის სადღეგრძელოც რომ არ დავლიოთ

რამ უნდა მოგვასვენოს,

—რამ უნდა დაგვაძინოს...

ნუგზარ გამყრელიძე

ვულოცავთ, ვულოცავთ!

დაქორწინებას ვულოცავთ **ლიკა მახვილაძესა** და **თორნიკე აბულაძეს!**

შვილთმრავლობა, სიყვარული, სიხარული, ბედნიერება ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი...

მანანა და დავით კლდიაშვილები ოჯახით

ჭადრაკი

ჩვენმა მოსწავლე მოჭადრაკეებმა წარმატებით დაასრულეს გასული 2021 წელი და ასევე წარმატებით დაიწყეს 2022 წელი. ვულოცავთ და მომავალ გამარჯვებებს ვუსურვებთ მათ.

მადლობა გარჯისთვის მწვრთნელებს.

მადლობა მშობლებს, ასევე შესაბამისი სკოლების დირექტორებს ნორჩი მოჭადრაკეებისათვის ნორმალური სამეცადინეო პირობების შექმნისათვის.

გთავაზობთ მწვრთნელების: მერი ჩაფიჩაძის და გია ჭუმბურიძის მიერ მოწოდებულ ინფორმაციებს (ყველა ტურნირი იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის ორგანიზატორობით ქუთაისში, მაია ჩიბურდანიძის სახელობის საჭადრაკო სკოლაში გაიმართა).

იმერეთის ღია საკვალიფიკაციო ტურნირი ჭადრაკში უთანრიგო და თანრიგოსან ჭაბუკთა და გოგონათა შორის ღია რეიტინგ ტურნირი „KUTAISI OPEN“ 2021 23-31 დეკემბერი.

აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობდნენ თერჯოლის ა(ა)იპ სპორტული სკოლის ჭადრაკის ჯგუფის აღსაზრდელები. მე-4 თანრიგოსან ჭაბუკთა შორის პირველი ადგილი დაიკავა გიორგი ბუცხრიკიძემ (თერჯოლის №1 საჯარი სკოლა), რომელიც დაჯილდოვდა ოქროს მედლით, იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის პირველი ხარისხის დიპლომით და თასით.

უთანრიგო 8-წლამდე გოგონათა შორის მე-2 საპრიზო ადგილი დაიკავა რუსუდან ჭანკვეტაძემ (თერჯოლის №1 საჯარო სკოლა), დაჯილდოვდა იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის მე-2 ხარისხის დიპლომით და ვერცხლის მედლით. გამარჯვებულები დააჯილდოვა იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა და პარლამენტის წევრმა ბატონმა ზაზა ლომინაძემ.

2022 წელი, 10-18 იანვარი

იმერეთის ღია საკვალიფიკაციო ტურნირი ჭადრაკში, უთანრიგო, მე-5, მე-4, და მე-3 თანრიგოსან ჭაბუკთა და გოგონათა შორის. აღნიშნულ ტურნირზე 8 წლამდე მე-5 თანრიგოსან ჭაბუკთა შორის გამარჯვებულები გახდნენ: ნიკოლოზ აბულაძე (თერჯოლის №1 საჯარო სკოლა) I ადგილი და IV თანრიგი.

8 წელს გადაცილებულ მე-5 თანრიგოსან ჭაბუკთა შორის გელა გაბრიჭიძე (თერჯოლის №1 საჯარო სკოლა) I ადგილი და IV თანრიგი.

მე-3 თანრიგოსან ჭაბუკთა შორის: გიორგი ბუცხრიკიძე (თერჯოლის №1 საჯარო სკოლა) I ადგილი და II თანრიგი.

აღნიშნულმა მონაწილეებმა 7 შესაძლებლობიდან დააგროვეს 6-6 ქულა, გახდნენ ჩემპიონები და აიმაღლეს კატეგორია, დაჯილდოვდნენ ოქროს მედლებით, იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის პირველი ხარისხის დიპლომებით და თასებით.

მერი ჩაფიჩაძე, მწვრთნელი

იმავე ტურნირზე მეოთხე თანრიგოსან გოგონათა შორის პირველ ადგილზე გავიდა ნატალია წივწივაძე (თერჯოლის №1 საჯარო სკოლა). მესამე თანრიგოსან ჭაბუკთა შორის მეორე იყო გიორგი რობაქიძე (თერჯოლის №1 საჯარო სკოლა), ასევე მეორე ადგილზე გავიდა მესამე თანრიგოსან გოგონათა შორის ლიზი ჩუბინიძე (თერჯოლის №1 საჯარო სკოლა). მეოთხე თანრიგოსან ჭაბუკთა შორის კი მეორე-მესამე ადგილი, ქუთაისელ მოჭადრაკესთან ერთად, თერჯოლის №1 საჯარო სკოლის მოსწავლემ გური ჩუბინიძემ, „imereti open“-რეიტინგ ტურნირში.

აბსოლუტურ მონაწილეთა შორის, ქალთა შორის მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა 11 წლის ნინი წივწივაძე (თერჯოლის №1 საჯარო სკოლა).

მანვე წარმატებით იასპარეზა ბათუმში გამართულ ტურნირზე 7 შესაძლებლობიდან დააგროვა 6 ქულა და გახდა ტურნირის ვიცე ჩემპიონი.

ქუთაისში გამართულ იმერეთის საკვალიფიკაციო ტურნირზე კი მესამე თანრიგოსან გოგონათა შორის მესამე ადგილი დაიკავა ნათია კუბლაშვილმა (ღვანკითის საჯარო სკოლა).

ვულოცავთ.

გია ჭუმბურიძე, მწვრთნელი

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის სწორი პასუხები: 1. გამარჯვება. 2. ჯიქი. 3. ლომი. 4. ოროველა. 5. ლოცვა. 6. ალილო. 7. ვარძია. 8. ასმათი. 9. ბაბუა. 10. ხერხეულიძე. 11. ტალახაძე (ლაშა). 12. მადლი. 13. წირვა. 14. ვეფხია. 15. ლეგენდა. 16. სამყარო.

წინა ნომერში გამოქვეყნებული საახალწლო გასართობის სწორი პასუხები: ალ. ბუცხრიკიძე. ზღვა—სიყვარული. ჭა. ენაზე კბილის დაჭერა. ავაზა-ლეოპარდი-ჯიქი. მეფე-ხე. ნუგბარი.

ლალი მასწავლებლის გამოსათხოვარი

ორმოცი ტკივილიანი ფურცელი მოვაშორეთ კედლის კალენდარს. დავკუჭეთ და გადავყარეთ. თითქოს ასე ვიშორებდით, გავურბოდით ტკივილს, მაგრამ ამაოდ!!!

ადრე თუ გვიან ყველანი გარდავიცვლებით, თუმცა ასე უეცარმა განშორებამ, გამანადგურებლად იმოქმედა ჩვენზე, ჩვენო ძვირფასო ლალი მასწავლებელო!

ვიხსენებთ ძალიან ბევრ კარგ საქმეს, თქვენგან სიკეთით, სიყვარულით ნაკეთებს და გვტკივა, უზომოდ გვტკივა უთქვენობა.

გარდაცვალება „ადგილის გამოცვლას“ ნიშნავსო, ადამიანის სული უკვდავიაო. ჩვენც ამით ვინუგეშებთ თავს.

ლალი მაკარიძის მოღვაწეობა წარუშლელ კვალად დარჩება მეგობრებისა და პირველი ბაგა-ბაღის ისტორიაში.

თერჯოლის პირველი ბაგა-ბაღის კოლექტივი

ბესიკ ჭიჭინაძე

გაუნელებელი ტკივილი

ჩვენო ბესო, შენი ლამაზი ოჯახი და საახლობლო-სამეგობრო, შენთვის ძვირფასი დედულეთი თერჯოლა, საყვარელი თბილის-ქალაქი – ყველა დაამწუხრა და ააფორიაქა შენმა გარდაცვალებამ.

ლამაზი, კეთილსახოვანი, ელეგანტური, დახვეწილი, უბრალო და ღირსეული, პროფესიონალი ინჟინერ-მშენებელი, განათლებული ოჯახის შვილი და ასეთივე ღირსების მქონე ოჯახის მესაჭე...ასეთად გიცნობდა დედაქალაქი, შენი სოლოლაკი.

მუდამ საქმიან წრეებში ტრიალებდი, ეძიებდი და ჰპოვებდი. სრულად ავლენდი ნიჭსა და უნარს საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტისას.

ხარობდი დიდი საძმო-სამეგობროთი, თბილისის კოლორიტი ყურადღებას იპყრობდი ყველგან, საზოგადოების წრეებში, როგორც უღალატო ძმადნაფიცი და თანამოზიარე. საოცარი იუმორის პატრონი საახლობლო-სადეიდაშვილოს რიგით შეხვედრებსაც კი დღესასწაულად აქცევდი ხოლმე. ვხარობდით, შენთან ერთად იყო მუდამ დიდი სიყვარული, სითბო, ნაღდი ურთიერთობა.

რა თქმა უნდა შენს პიროვნებას მეტ შინაარს სძენდა და ალამაზებდა საყვარელი მეუღლე, ჩვენთვის ძვირფასი ადამიანი რუსუდან გიორგაძე–საზოგადო მოღვაწე, არაერთი და ორი საქველმოქმედო თუ სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმეთა წამომწყები და აღმსრულებელი; ასევე დიდებული დიასახლისი, მეოჯახე, ლამაზად შვილების აღმზრდელი და თავადაც ლამაზი ადამიანი. თქვენი შვილები: დავითი და ერეკლე ღირსეულ პიროვნებებად ჩამოაყალიბეთ. გულითადად ვუსამძიმრებთ მათ. გვიჭირს, არ ვიცით, როგორ შეგიმსუბუქოთ დიდი ტკივილი. გვჯერა გაუძლებთ, ეს გევალებათ. ბესიკოს სული გავალებთ...

უფლის ნებით თქვენს ოჯახში კვლავაც იხარებს სიკეთის ნერგი.

ბესიკ ჭიჭინაძის სულს ზენაარი მარადიულ საუფლოში მიუჩენს მუდმივ სამყოფელს.

სადეიდაშვილო

ეწრის საბავშვო ბაღის თანამშრომლები იუწყებიან

ლამზირა მაჩიტიძე-არაბიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

ნიკოლოზ ქოჩიაშვილი ოჯახით თანაუგრძნობს თამაზ ცერცვაძეს მეუღლის

ფოთოლა ჭრელაშვილის

გარდაცვალების გამო.

სსიპ დავით კლდიაშვილის სახელობის ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის პედაგოგები და თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სკოლის ბიბლიოთეკარის - ინგა აბაშიძის ბებია

ნაზი ფანჩულიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სსიპ დავით კლდიაშვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის პედაგოგები, ტექნიკური პერსონალი და სამეურვეო საბჭოს წევრები სამძიმარს უცხადებენ ამავე სკოლის მასწავლებელ გელა აბჟანდაძეს დის

ციალა აბჟანდაძის

გარდაცვალების გამო.

მონატრებული ზამთარი...

„ზამთარი აღარ ზამთრობსო“—ამ სევდა-წუხილიან სიტყვებს ბოლო წლებია ხშირად გაიგონებთ ჩვენი მამა-პაპებიდან, ისინი ჩივიან, რომ უთოვლო ზამთარი მეტად ცუდ გავლენას ახდენს გარემოზე, სახნავ-სათეს ფართობებზე, წყლის მარაგებზე...

გოგო-ბიჭებსაც მოენატრათ თოვლით თეთრად გადაპენტილი სანახები, გუნდაობა და ციგებით სრიალი...

გაგვიხარდა, ბუნებამ ამჯერად, რომ არ დაიზარა და წლების ეს მონატრება კარგადაც აგვისრულა... თუ ადრე მხოლოდ მუნიციპალიტეტის ზედა ზონის სოფლებში ჩამოთოვდა ხოლმე და ისიც არასაკმარისად, გასული წლის დეკემბერში და ახალი—2022 წლის იანვარ-თებერვალში უკვე ბარის სოფლებშიც არაერთგზის მოგვითოვა...

ინტენსიურმა თოვლიანობამ საზრუნავიც ბევრი გააჩინა, პრობლემებიც უხვად შექმნა მოსახლეობისათვის, მაგრამ თერჯოლის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის—მუნიციპალიტეტის მერიის, მისი სამსახურების, „ენერგოპროსა“ და „სოკარგაზის“ ორგანიზებული მუშაობით უხვთოვლიანობის გამო შექმნილი ყველა პრობლემა ოპერატიულად წყდებოდა...

შედეგიც სახეზეა —არ ჩაკეტილა არცერთი სასოფლო გზა და რაიონის ცენტრთან დამაკავშირებელი გზები, მოსახლეობას შეუფერხებლად მიეწოდებოდა ბუნებრივი აირი...

მართალია, დაფიქსირდა ელენერგიის მიწოდების მცირე ხნით შეფერხების რამდენიმე შემთხვევა, მაგრამ მათი გამომწვევი მიზეზებიც ოპერატიულად აღმოიფხვრა...

უხვთოვლიანობის პირობებში მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურთან ერთად გამართულად იმუშავეს მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანმა ობიექტებმა...

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პირადად მუნიციპალიტეტის მერი ლაშა გოგიაშვილი, მერის მოადგილეები მანუჩარ რობაქიძე, მირზა ქოჩიაშვილი, სამსახურების ხელმძღვანელები და სხვა პასუხისმგებელი მუშაკები პირადად იმყოფებოდნენ მიმდინარე გაწმენდითი თუ სხვა სამუშაოების ადგილებზე და უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ მიმდინარე პროცესებს.

გულწრფელი მადლობა ყველას, ვინც მაქსიმუმი გააკეთა იმისათვის, რომ თერჯოლელებს რაც შეიძლება ნაკლები პრობლემები ჰქონოდათ წლევანდელი უხვთოვლიანობის გამო...

თოვლი...

მრავალი წლის გაუჩინარების შემდეგ პირველად წამოგვყარა ფეხზე თეთრ ზეწარში გახვეულმა ძველით ახალი წლის დილამ.

თოვლი მოსულა!

ეჰეეეი! მოუთოვია!..

სულ ერთიან გამოცოცხლდა ძილ-ბურანში მყოფი ქალაქი თუ სოფელი.

აბა, როგორ იქნებოდა **მურმან ლებანიძის** ცნობილი ლექსი—თოვლი მოსულა რომ არ გაგვხსენებოდა. აქვე, საჭიროდ ვცანით მკითხველისათვის მისი (ანუ თოვლის) სალექსიკონო განმარტებაც შეგვეხსენებინა:

თოვლი—ატმოსფერული ნალექი. წყლის კრისტალები ყინვისაგან შეკავშირებული თეთრ ფიფქებად.

თოვლი მოსულა

მტკაველი რაა,
ერთი მტკაველი,
მტკაველიც არსად
დაუტოვია -
დაუთოვია
ირგვლივ მთა-ველი,
მთლად საქართველო
დაუთოვია.
წკრიალებს გული!
ჭრიალებს თოვლი
ბუხრებმა კვამლი
ლაჟვარდს მოჰფინეს:
ხარ-ირმებს ჰგვანან
ბუხრები შორით,
სერზე შემდგრებს და
რქადატოტვილებს.
და პირველ თოვლში
პირველი ციგა
პირველ გუნდებთან
ბრძოლით მოცურავს.
გამოდით გარეთ,
გამოდით გარეთ,
თოვლი მოსულა!
თოვლი მოსულა!
მტკაველი რაა,
ერთი მტკაველი,
მტკაველიც არსად
დაუტოვია -
დაუთოვია
ირგვლივ მთა-ველი,
მთლად საქართველო
დაუთოვია.



შპს „თერჯოლა“

გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75

მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@mail.ru**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
ქ. თერჯოლა,კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი,ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872